ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „----"-ის დირექტორი ი. ლ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.06.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი 004/16
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ /სიითი №/
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ს.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2016 წლის 30 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მიმართა შპს „----"-ს დირექტორმა ი. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ს.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არის შპს „----"-ს დირექტორი, ხოლო ადვოკატი თ. ს. წარმოადგენს დაპირისპირებული მხარის - ირმა კვაჭანტირაძის ინტერესებს და მოითხოვს მომჩივანისგან შპს „----" დაკავშირებული საკითხების გარკვევას. ადვოკატი თ. ს. კატეგორიულად მოითხოვს მისთვის სასურველ დროს შეხვედრას და ამ საკითხების გარკვევას, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, როგორც შპს-ის დირექტორს, ი. ლ.-ს არ შეუძლია ყავდეს ადვოკატი. ამ დროს, შპს-ს ყავს ადვოკატი თ. კ..

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მას მიზანმიმართულად უშლის ხელს საქმიანობის განხორციელებაში, რადგანაც სამუშაო დროს გამუდმებით ურეკავს. 2016 წლის 27 მაისს, სამუშაო დროს, 13:40 საათიდან 15:24 საათამდე მის ტელეფონზე ადვოკატმა თ. ს.-მ განახორციელა 29 (ოცდაცხრა) სატელეფონო ზარი. მას შემდეგ რაც თ. ს.-მ ვერ მოახერხა მასთან სატელეფონო საუბარი, მისწერა მუქარისა და შეურაცხყოფის შემცველი არაერთი მოკლე ტექსტური შეტყობინება.

1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში მიუთითა თ. ს.-ს, რომ ნებისმიერ საკითხზე დაკავშირებოდა შპს „----“-ს ადვოკატს, თ. კ.-ს, რომელიც 2011 წლიდან წარმოადგენდა შპს „----“-ს ინტერესებს და თ. ს.-ის მარწმუნებელმა ეს იცოდა. მიუხედავად ამისა, თ. ს.-მ არ ისურვა მის ადვოკატთან დაკავშირება და დაჟინებით მოითხოვდა ი. ლ.-ისგან, ჩაებარებინა მისთვის განცხადება.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, თ. ს. მივიდა განცხადების ჩასაბარებლად თბილისში, აბაშიძის ქუჩა №48 -ში მდებარე ოფისში, სადაც საქმიანობას ეწეოდა შპს „შ. პ.“ და არა შპს „----“, რითაც შექმნა უხერხული გარემო. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი არანაირ კავშირში არ იყო შპს „შ. პ.სთან“, ხოლო ადვოკატმა ეს არ გაითვალისწინა და ცდილობდა განცხადება დაეტოვებინა ამ ფირმის ადმინისტრატორისთვის, მიუხედავად ადმინისტრატორის რჩევისა დაკავშირებოდა შპს „----ს“ ადვოკატს

1.6. საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ს. მას უმტკიცებდა, რომ არ ჰქონდა უფლება მასთან ადვოკატის საშუალებით ჰქონოდა ურთიერთობა.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, თ. ს. თავისი კლიენტის ინტერესების დასაცავად უხეშად არღვევს მის უფლებებს, აყენებს მას შეურაცხყოფას და უქმნის აუტანელ მდგომარეობას. საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც სამუშაო დროის მანძილზე თ. ს. მას ურეკავს და არ აძლევს საშუალებას შეასრულოს სამსახურეობრივი მოვალეობები, იგი ამ გზით ახორციელებს მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

1.8. 2016 წლის 07 ივლისს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი დამატებთ აცხადებს, რომ 26 მაისს თ. ს.-მ სატელეფონო ზარით აცნობა მას, რომ წარმოადგენდა ირმა კვაჭანტირაძის ინტერესებს, რის შემდეგაც მაშინვე მიიღო მითითება მიემართა ადვოკატისათვის. თავად თ. კ. აცხადებდა, რომ მას შეეძლო განცხადების ჩაბარება, მაგრამ, ი. ლ.-ის განმარტებით, თ. ს.-ს არ სურდა ადვოკატისათვის განცხადების ჩაბარება.

1.9. საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. კ. შპს „----“-ს ინტერესებს წარმოადგენდა 2012 წლიდან და ამის შესახებ იცოდა როგორც თ. ს.-მ, ისე მისმა მარწმუნებელმა. მინდობილობა ამის შესახებ თან ერთვის საქმის მასალებს, რომელიც ირმა კვაჭანტირაძის მხარეს აქვს მიღებული. მოკლე ტექსტური შეტყობინებების შინაარსიდან არ ჩანს, რომ თ. ს. ითხოვდა ი. ლ.-ისაგან მიდნობილობას.

1.10. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი სამუშაო ადგილი და თანამდებობა არ შემიოფარგლება შპს „----“-ს დირექტორობით და თ. ს.-ის „გამაღიზიანებელი და შეურაცხმყოფელი“ შეტყობინებებისაგან მას შეექმნა პრობლემები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ს.-მ ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 07 ივლისს. ადვოკატის განმარტებით, იგი მოქმედებდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში და არ დაურღვევია კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი წარმოადგენდა შპს „----“-ს პარტნიორს, ირმა კვაჭანტირაძეს და ინფორმაციის მიღების მიზნით 2016 წლის 26 მაისს დაუკავშირდა ტელეფონით შპს-ის დირექტორს, ი. ლ.-ს და აუხსნა, რომ უნდა ჩაებარებინა განცხადება. სწორედ ი. ლ.-მ განუმარტა მას, რომ განცხადება შეეძლო ჩაებარებინა ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქუჩა №48 - ----ს მისამართზე, თანამშრომლისთვის.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ი. ლ. ცრუობს როდესაც აცხადებს, რომ მისმა მისვლამ ირ.აბაშიძის ქუჩა №48-ში შექმნა უხერხული გარემო.

2.4 ადვოკატის განცხადებით, იგი 2016 წლის 27 მაისს ი. ლ.-ის მითითებულ მისამართზე მივიდა თანაშემწესთან ერთად განცხადების ჩასაბარებლად. დაახლოებით ორსაათიანი ლოდინის შემდეგ, რადგან შპს-ის თანამშრომელი არ იბარებდა განცხადებას. ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად მის მიერ განხორციელებული არაერთი სატელეფონო ზარისა, ი. ლ. მას არ პასუხობდა და ამიტომ გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, თუმცა, მის მიერ გაგზავნილი ტექსტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს.

2.5 ადვოკატის განცხადებით, არასწორია ინფორმაცია, რომ იგი უარს აცხადებდა მომჩივანის ადვოკატთან ურთიერთობაზე, მისი თქმით, იმ მომენტისთვის ადვოკატ თ. კ.-ს არ გააჩნდა მინდობილობა და შესაბამისად წარმოადგენდა არაუფლებამოსილ პირს განცხადების ჩასაბარებლად. აღნიშნულის დასამტკიცებლად, ადვოკატი წარმოადგენს მისი თანაშემწის ს. გ.-სა და თ. კ.-ის საუბრის აუდიო ჩანაწერს.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას არ განუხორციელებია ი. ლ.-ის მიმართ მუქარა, რაზეც სატელეფონო საუბრის ჩანაწერები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები მეტყველებს.

2.7 ადვოკატის განცხადებით, იგი არ უშლიდა ი. ლ.-ს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. მის მიერ განხორციელებული ზარები სწორედ სამუშაო დროს უნდა შესრულებულიყო, რადგან ეხებოდა შპს „----“-ს სამართლებრივ საკითხებს.

2.8 თ. ს.-მ ზეპირი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2016 წლის 27 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატის განცხადებით, ი. ლ. სატელეფონო საშუალებით ესაუბრებოდა შპს „----“-ს თანამშრომლებს, ვინც უკავშირდებოდა ადგილიდან, თუმცა, არ პასუხობდა თ. ს.-ს.

2.9 ადვოკატის განმარტებით, შეხვედრა იყო წინასწარ შეთანხმებული ი. ლ.-სთან, შესაბამისად, იგი არ მოუცდენიათ სამუშაო დროიდან, არამედ იგი ითხოვდა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

2.10 ადვოკატის განცხადებით, ის მინდობილობა, რომელიც წარმოდგენილია საქმეში, არ არსებობდა საჩივარში მითითებული მოვლენების დროს, შესაბამისად, თ. კ.-ს არ წარმოუდგენია მინდობილობა. რწმუნებულების წარმოდგენის შემდეგ ადვოკატს ჩაბარდა განცხადება.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მას არ უცდია ტექნიკური საშუალებების გამოყენება განცხადების ჩასაბარებლად, ვინაიდან ჩაბარება დროში გაჭიანურდებოდა. აღნიშნული მოვლენებიდან 2-3

დღის შემდეგ ადვოკატმა მინდობილობა წარმოადგინა და ჩაიბარა განცხადება, მანამდე კი მასთან კონტაქტი ხორციელდებოდა.

3. მოწმის პოზიცია:

3.1 მოწმე ს. გ.-მ ეთიკის კომისიაში ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 27 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. მოწმემ განმარტა, რომ იგი არის თ. ს.-ის თანაშემწე და მონაწილეობდა ზემოთ განხილულ ქმედებებში.

3.2 მოწმის განცხადებით, თ. ს.-ისა და ი. ლ.-ს შორის სატელეფონო საუბარი შედგა იმ შინაარსით, რომელსაც უთითებს ადვოკატი. ი. ლ.-მ მისამართად მიუთითა ირ. აბაშიძის №48. ასევე, ი. ლ.-ის განმარტებით, ამ მისამართზე უნდა ჩაებარებინათ განცხადება.

3.3 მოწმემ დაადასტურა მოცემულ მისამართზე კომპანიის თანამშრომლების მიერ განცხადების ჩაუბარებლობის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ს. გ. იმყოფებოდა შპს-ში „----“, იგი უნდა დაკავშირებოდა უშუალოდ ი. ლ.-ს. მოწმე დიდი ხნის მანძილზე უკავშირდებოდა ი. ლ.-ს სატელეფონო საშუალებით, თუმცა, უშედეგოდ.

3.4 მოწმემ დაადასტურა მის მიერ საჩივრის ავტორის ადვოკატთან შეხვედრის ფაქტი და ისიც, რომ ამ უკანასკნელს გადასცა განცხადება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი თ. ს. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 ი. ლ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2016 წლის 30 ივნისს

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წლის გაზაფხულზე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი თ. ს. ცდილობდა მასთან კომუნიკაციას ადვოკატის გვერდის ავლით, თუმცა, იცოდა, რომ ი. ლ. წარმოდგენილი იყო

ადვოკატით. ასევე, თ. ს. ემუქრებოდა, შეურაცხყოფას აყენებდა მას და ხელს უშლიდა სამუშაო პროცესში.

6.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.1.1 „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.2.1 „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

6.3. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და არ მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის, ვინაიდან ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას, თუმცა, ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს.

6.4. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10 დაადგინა: „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს.“

6.5. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“

6.6. ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“

6.7. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. თ. ს. ახორციელებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეულ მოქმედებებს საადვოკატო მომსახურების ფარგლებში, ერთ-ერთი მათგანი იყო საჩივრის ავტორის მხარისათვის გარკვეული მასალების ჩაბარება. ადვოკატის უფლებამოსილებაა, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, თავად შეარჩიოს მოქმედების ფორმა. ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს ყველა საშუალება კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული შეზღუდვის შემთხვევა, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება. წარმოდგენილი მოკლე ტექსტური შეტყობინებებიდან არ იკვეთება ადვოკატის მხრიდან შესაძლო მუქარის ან იძულების ფაქტი, ასევე, არ ჩანს ი. ლ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენების გარემოება. ზარების არაერთხელ განხორციელებას, კონკრეტულ დღეს, ადასტურებს თავად ადვოკატი, თუმცა, ეს ხორციელდებოდა სამუშაო დროს და კონკრეტული მიზნით, იმ დროს როდესაც კომუნიკაციის პრობლემა იყო და არსებობდა მისი აუცილებლობა. აღნიშნულს ადასტურებს მოწმე საკუთარ ახსნა-განმარტებაში.

6.8. იმ დროისათვის, როდესაც თ. ს. ცდილობდა განცხადება ჩაებარებინა ი. ლ.-ისათვის ეს უკანასკნელი არ იყო წარმოდგენილი ადვოკატის საშუალებით, რადგან ადვოკატ თ. კ.-ს იმ დროისთვის არ გააჩნდა მოქმედი მინდობილობა. თ. ს.-ისა და მისი თანაშემწის მიერ განცხადების ჩაბარების მცდელობიდან რამდენიმე დღეში თ. ს.-ის თანაშემწე შეხვდა ადვოკატ თ. კ.-ს და გადასცა ზემოთ აღნიშნული განცხადება, რადგანაც იმ დროისთვის ამ უკანასკნელს უკვე გააჩნდა მინდობილობა.

6.9. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს, რომ ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით. იმის დასადასტურებლად, რომ თ. ს.-ის ი. ლ.-სთან კომუნიკაციის დროისთვის, თ. კ. წარმოადგენდა მომჩივან მხარეს, სახეზე უნდა გვქონდეს მინდობილობა, რომელიც მოიცავს დროის მოცემულ შუალედსაც, რის დასადასტურებლადაც მომჩივანმა მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება. შეხვედრისა და კომუნიკაციის მცდელობა შედგა 2016 წლის მაისში, ხოლო მინდობილობა წარმოდგენილია 2016 წლის 29 ივნისის თარიღით.

6.10. თ. ს.-ის მიერ ი. ლ.-ის მიმართ განხორციელებულ სატელეფონო ზარები სამუშაო დროის მანძილზე ვერ მიიჩნევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად, რადგანაც ადვოკატი მოქმედებდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში.

6.11. ადვოკატ თ. ს.-ის მიერ მითითებული გარემოებები დასტურდება მოწმე ს. გ.-ს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტებიდანაც. მოწმე აცხადებს, რომ მითითებულ მისამართზე სწორედ ირმა ლომიძის განმარტების შემდეგ მივიდნენ განცხადების ჩასაბარებლად სამუშაო საათებში და კომუნიკაციის პრობლემის გამო ეს ვერ განხორციელდა. მას შემდეგ, რაც შპს-ის ადვოკატმა თ. კ.-მა წარმოადგინა მინდობილობა, მას ჩაბარდა საქმის მასალები.

6.12. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და, შესაბამისად, ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–10 მუხლის მე-4 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ"დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №004/15 ადვოკატ თ. ს.-ის მიმართ, /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინურ დევნა
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი /თორნიკე ბაქრაძე/